საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060121206301915

ბრძანება №-142

ქ. თბილისი

27 / თებერვალი / 2015 წ.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

2015 წლის 27 იანვარს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჩივრით მომართა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-მ და მოითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილების (წერილი), როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და „შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების ბათილად ცნობა.

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის №-62 ბრძანების შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას დადგინდა შემდეგი:

შპს „RMG GOLD“-მა 2014 წლის 15 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნული განცხადებით შპს „RMG GOLD“ ითხოვს 1994 წლის 7 აპრილს „ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე“ გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის გაგრძელებას.

აღნიშნული ლიცენზია გაიცა 1994 წლის 7 აპრილს და ძალაში იყო 2014 წლის 7 აპრილამდე. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით „საყდრისის“ საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქცეულ „ყაჩაღიანის“ უბანს, რომელიც მოქცეულია „RMG GOLD“-ის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ფართობში, მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, შესაბამისად ლიცენზიატი ვეღარ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის მოცემული უბნის დამუშავებას. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება საყდრისი-ყაჩაღიანის ფარგლებში (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება, ხოლო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული ბრძანების დანართის რიგითი №2042-ის (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნიის მუნიციპალიტეტი) ფარგლებში. შესაბამისად ლიცენზიატს მოეხსნა შეზღუდვა

მოცემულ წიაღითსარგებლობის უბანზე განეხორციელებინა სამადოს დამუშავება. ამასთან, შპს „RMG GOLD"-მა გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების" (შემდგომში დადგენილება) მე-6 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა და კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურის დაცვით, შპს „RMG GOLD"-ს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №593 განკარგულებით, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2015 წლის 1 იანვრამდე (აღნიშნული ქმედება არ არის სადაოდ გამხდარი).

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ დღეის მდგომარეობით RMG Gold"-ის მფლობელობაში არსებული N1002122 ლიცენზია წარმოადგენს შპს „Mining Investments Gold"-ისა და შპს „RMG Gold"-ის შერწყმის საფუძველზე (შერწყმის საფუძველი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 17.11.2014 წლის №B14114955/3 გადაწყვეტილება) „Mining Investments Gold"- ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების N 1001028 ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შედეგს, რაც შესაბამისად განხორციელდა და აისახა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის № 167/ს ბრძანებაში. ლიცენზიის ძალაში შესვლის პირველად თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 14 აპრილი, თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ სალიცენზიო ფართობი მთლიანად მოიცავს შპს „RMG GOLD"-ზე გაცემული, მოქმედი სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ფართობს, გარდა საყდრისის სამადოს ყაჩაღიანის უბნის ტერიტორიისა, ლიცენზიატმა ისარგებლა დადგენილების მე-7 პრიმა მუხლის მე-2 პრიმა პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობით და მოითხოვა ლიცენზიის ამოქმედების ვადის გადაწევა. აღნიშნული მოთხოვნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №592 განკარგულებით დაკმაყოფილდა და ლიცენზიის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 იანვარი.

შპს „RMG GOLD" - ის 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 განცხადებით მოთხოვნილ იქნა წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის გაგრძელება 2021 წლის 21 აპრილამდე, რის საფუძვლადაც შპს „RMG GOLD"-მა მიუთითა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანება, ასევე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება და 2014 წლის 12 დეკემბრის №12/09/1885 წერილი, რომლითაც კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების თანხმობა. რადგან შპს „RMG GOLD" რეალურად ვერ განახორციელებდა შესაბამის საქმიანობას 2015 წლის 1 იანვრამდე, ანუ ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, მოთხოვნილ იქნა ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის გაგრძელება. ამასთან, იმავე განცხადებით აღინიშნა, რომ აღნიშნული ქმედება გამოიწვევდა №1002122 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ამოქმედების ვადის გადავადებას 2021 წლის 21 აპრილამდე.

2014 წლის 23 დეკემბრის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის №21/1376 წერილით შპს „RMG GOLD"-ს უარი ეთქვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რადგან :

დადგენილების მე-7 პრიმა მუხლის მე-2 პრიმა წაწილის თანახმად: „იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიით დადგენილია მისი ამოქმედების კონკრეტული თარიღი და იგი ვერ არ დამდგარა, ლიცენზიატის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის გამცემის მიერ, ლიცენზიაში ერთჯერადად შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწევასთან დაკავშირებით". იქედან გამომდინარე, რომ №1002122 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ამოქმედების ვადის ერთჯერადი გადაწევა უკვე განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №592 განკარგულებით (ნაცვლად 2014 წლის 15 აპრილისა, ლიცენზიის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 იანვარი) სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „RMG GOLD"-ის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებად. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების მე-6 პრიმა მუხლი ლიცენზიატს აძლევს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, შპს „RMG GOLD"-ის მოთხოვნაზე თანხმობა გამოიწვევდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი, ერთდროულად მოქმედი ლიცენზიის არსებობას, რაც ლიცენზიის პირობების შესრულების სავალდებულოობიდან გამომდინარე დაუშვებელია. შესაბამისად, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უარი შპს „RMG GOLD"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის

განცხადების დაკმაყოფილებაზე სრულიად დასაბუთებულია.

აღნიშნულის შემდგომ, 2014 წლის 29 დეკემბერს №469 წერილით შპს „RMG GOLD"-მა მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა დადგენილების მე-6 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ლიცენზიატმა ვადის გაგრძელება ითხოვა ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) არა მთელ წიაღითსარგებლობისათვის განსაზღვრულ ფართობზე, არამედ კონკრეტულად განსაზღვრულ X-Y კოორდინატებში, რისი დანართიც თან ახლავს აღნიშნულ განცხადებას. მოცემული X და Y კოორდინატები საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის ტერიტორიაა, ესეიგი ფართობი, რომელსაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და ამავე სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის კორესპონდენციით შპს „RMG GOLD"-ს მიეცა აღნიშნულ უბანზე არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა, როგორც შპს „RMG GOLD"-ის სალიცენზიო (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ტერიტორიაზე არსებული ობიექტისა, რომელსაც 2006 წლის 30 მარტიდან მოქმედი შეზღუდვა მოეხსნა.

სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო წარმოება აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით და დადგენილების მე-6 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, 2014 წლის 30 დეკემბერს №21/1556 წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რათა განეხილა ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ვადის გაგრძელების საკითხი და ეშუამდგომლა საქართველოს მთავრობის წინაშე, შპს ,,RMG GOLD" -ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

2014 წლის 27 იანვრის №1314 ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილია სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილების (წერილის), როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გათხილობა. აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან:

პირველ რიგში უნდა განვმარტოთ, რომ არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების საფუძველი, რაზეც ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი მიუთითებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: ,,თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე". 2014 წლის 15 დეკემბრის მოთხოვნა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ არ დაკმაყოფილდა 2014 წლის 23 დეკემბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (მოთხოვნაზე უარი დასაბუთებულია ზემოთ). რაც შეეხება შპს „RMG GOLD"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის მოთხოვნას, მნიშვნელოვანია გავმარტოთ, რომ ამ შემთხვევაში, განცხადება მართალია წარდგენილია საკითხზე, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, თუმცა სზაკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეს შესაძლებლობას აძლევს, კვლავ წარადგინოს განცხადება, თუ შეიცვალა ფაქტობრივი მდგომარეობა. განსხვავებით 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებისა, 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადების მოთხოვნით, ლიცენზიატი საკუთარ (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიაზე ამცირებს სალიცენზიო ფართობს და მიუთითებს ზუსტად განსაზღვრულ კოორდინატებს, რომელშიც სურს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება. ნათელია, რომ სახეზეა ფაქტობრივი მდგომარეობის ცვლილება, ამასთან, გარდა ლიცენზიატისათვის შეცვლილი ფაქტობრივი მდგომარეობისა, იცვლება ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციის სამართლებრივი მდგომარეობაც, კერძოდ: 2014 წლის 23 დეკემბრის №21/1376 წერილით შპს „RMG GOLD"-ს უარი ეთქვა (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე. აღნიშნული ლიცენზია თავის თავში მოიცავდა:

1. შპს „RMG GOLD -ის №1002122 სარგებლობის ლიცენზიის ტერიტორიას, რომელიც ძალაში ნებისმიერ შემთხვევაში შედიოდა 2015 წლის პირველი იანვრიდან და

2. საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანს.

ვინაიდან დაუშვებელია ერთ სამოქმედო ტერიტორიაზე ორი ან მეტი ლიცენზიის ერთდროულად არსებობა, რასაც

გამოიწვევდა შპს RMG GOLD -ის 2014 წლის 15 დეკემბრის პირველი მოთხოვნის რეალიზება, შპს RMG GOLD-ს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თუმცა, 2014 წლის 29 დეკემბრის მოთხოვნით, შპს „RMG GOLD"-მა შეამცირა (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის სამოქმედო ტერიტორიის ფართობი, კერძოდ, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება მოითხოვა მხოლოდ საყდრისის სამადნოს ყაჩაღიანის უბანზე. აღნიშნული ქმედებით, მან ერთი მხრივ, შესაძლებლობა მისცა მის საკუთრებაში არსებულ №1002122 სარგებლობის ლიცენზიას, ამოქმედებულიყო 2015 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო მეორე მხრივ, ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) მხოლოდ იმ ფართობზე მოითხოვა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება, რაც არ დაემთხვეოდა №1002122 სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიას. შესაბამისად, ამით მოიხსნა სალიცენზიო ტერიტორიების ერთმანეთზე გადაფარვის პრობლემა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის აღარ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თავდაპირველი საფუძველი. ამდენად, ცალსახაა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი მდგომარეობების ცვლილება, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოსთვის არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისა და განცხადებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველი.

2014 წლის 27 იანვრის №1314 ადმინისტრაციული საჩივრით ასევე მოთხოვნილია „შპს „RMG Gold"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი V I A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების ბათილად ცნობა და სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლი. აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, რადგან:

დადგენილების მე-6 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სააგენტოს, სამინისტროს შუამდგომლობით და საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა. 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 წერილით სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და შპს „RMG GOLD"-ის განცხადების საფუძველზე ითხოვა კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელება. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე. მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №7614 წერილით და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, ექცეოდა თუ არა ლიცენზიატის მიერ განსაზღვრული X და Y კოორდინატების ტერიტორია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით გათვალისწინებულ, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსმოხსნილი „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" ტერიტორიაში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 30 დეკემბრის №08/09/1949 წერილით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეცნობა, რომ აღნიშნული ტერიტორიების კოორდინატები იდენტურია. ამასთან, 2014 წლის 30 დეკემბრის №7615 წერილით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის კონტური მდებარეობს საავტომობილო გზის სიახლოვეს, „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე. მიმართა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ითხოვა მოსაზრება, შპს-RMG GOLD-ის მიერ მოთხოვნილ კოორდინატებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რის პასუხადაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, 2014 წლის 30 დეკემბრის №2-03/9107 წერილით, თანხმობა განაცხადა მითითებულ მოთხოვნაზე კონკრეტული ტექნიკური პირობების დაცვის გათვალისწინების შემთხვევაში.

აქვე ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „RMG GOLD"-ს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 ივლისის #ი-454 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა ბოლნისის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოსა და მის მიმდებარედ ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში 802316 კვ.მ მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება, სპეციალური ჭრების განხორციელების უფლებამოსილებით. ამდენად, ის გარემოება, რომ 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებით მოთხოვნილი ტერიტორია ხვდებოდა სახელმწიფო ტყის ფონდში, არ წარმოადგენდა ხელახლა გამოსაკვლევ გარემოებას, გამომდინარე იქედან, რომ ამ აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „RMG GOLD"-ს უკვე გააჩნდა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 2014 წლის 30 დეკემბერს №7625 წერილით მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და იშუამდგომლა „შპს „RMG GOLD"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემის შესახებ. შედეგად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა, გაეგრძელებინა (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადა შპს „RMG GOLD"-ის მიერ მითითებულ კოორდინატებში, 2020 წლის 1 იანვრამდე.

მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 91-ე მუხლის მოთხოვნები. სადავო გადაწყვეტილებაზე საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები იყო შესწავლილი და მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დაეყრდნო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოსაზრებებს და შედეგად იშუამდგომლა საქართველოს მთავრობასთან, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ყურადღება უნდა იქნას მიქცეული ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამსფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის 1998 წლის კონვენციის (შემდგომში ორჰუსის კონვენცია) მე-6 მუხლის (საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღებისას) მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პარაგრაფში მოცემული საქმიანობისათვის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს წინამდებარე მუხლის მეორე – მეცხრე პარაგრაფის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით. კონვენციის აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ჩართულობას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა საგულისხმოა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დეფინიცია - „თითოეული მხარე პირველ დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს." კონვენციის პირველი დანართით (დანართი I. „მე–6 მუხლის პარაგრაფ 1-ში (ა) მითითებული საქმიანობათა ჩამონათვალი") განსაზღვრულია საქმიანობათა ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალის მე-16 პუნქტის მიხედვით, ზემოაღნიშნული რეგულაციის ფარგლებში ხვდება „მაღაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს, ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს."

აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ შპს „RMG Gold"-ი 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებით, საერთო ჯამში, ითხოვდა ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებას მხოლოდ 9 ჰა ფართობზე. შესაბამისად, ორჰუსის კონვენციის დანართი 1-ის ზემოთმითითებული მე-16 პუნქტიში მითითებული კრიტერიუმის (მაღაროების და კარიერების ფართობის ზედაპირი) გათვალისწინებით, შპს „RMG Gold"-ის მიერ დასმულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას ორჰუსის კონვენციის ზემოაღნიშნული დებულებები ვერ გავრცელდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კონვენციის ზემოაღნიშნული დათქმისა, 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1610 წერილით, სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს აცნობა შპს „RMG Gold"-ის მომართვისა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ამასთან გაუგზავნა არსებული დოკუმენტაცია და მიაწოდა ინფორმაცია, რათა დაინტერესების შემთხვევაში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" ჩართულიყო ადმინისტრაციულ წარმოებაში. თუმცა აღნიშნული ორგანიზაციის მხრიდან მსგავს მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალსწინებით, უსაფუძვლოა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მხრიდან ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევაზე მითითება.

ამასთან, აქვე გასათვალისწინებელია, რომ „შპს „RMG Gold"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი V I A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების გამოცემის საფუძვლებად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად მითითებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულება. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მხრიდან არ არის რაიმე სახის მითითება აღნიშნული განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით. ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულება კანონიერ ძალაშია, შესაბამისად, მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, „შპს „RMG Gold"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი V I A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი ამ შემთხვევაშიც არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „RMG Gold"-ის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობიდან მიღებული თანხმობის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულების საფუძველზე, 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანებით დააკმაყოფილა შპს-ს მოთხოვნა და წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) მოქმედების ვადა გააგრძელა 2020 წლის პირველ იანვრამდე.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე დავების შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას მოსაზრება გამოთხოვილი იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან. სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით დგინდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მიმდინარეობს საქმის წარმოება (საქმე №ბ-1129-14), სადაც დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანება (რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების ნაწილი და დანართიდან ამოღებულ იქნა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო") და ამ ბრძანებასთან დაკავშირებით გამოცემული სხვადასხვა აქტები, თუმცა უსაფუძვლოა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეჩერებული იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების მოქმედება და რომ წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გადაწყვეტილების მიღებისას (2014 წლის 31 დეკემბერი) საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე აკრძალული იყო ყოველგვარი სამუშაოების წარმოება, ვინაიდან იგი წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის 12 დეკემბრის N2/271 ბრძანება, რომლითაც „საყდრისი ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს" მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის N03/266 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების რიგითი N2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი). აქედან გამომდინარე, 2014 წლის 31 დეკემბრისათვის საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი არ ჰქონდა.

ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შეჩერდა სამთო სამუშაოების განხორციელებაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანხმობის (2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი) მოქმედება, შესაბამისად „RMG Gold" არ იყო უფლებამოსილი ამ აქტის საფუძველზე განეხორციელებინა რაიმე ქმედება, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს სხვა აქტით (სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის 12 დეკემბრის N05/09/1857 თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) შესახებ) გაცემული თანხმობის ფარგლებში სამუშაოების ჩატარებას. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის განჩინებით შეჩერდა კონკრეტული აქტი და მის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედება და არა ზოგადად ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელდა უკვე სხვა აქტების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ააიპ „მწვანე ალტერნატივის" 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიმდინარე წარმოებისას მიღებული და გამოკვლეული

გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს უარი ეთქვას 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6)

საფუძველი: იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ნანა ზამთარაძის 2015 წლის 27 თებერვლის №3582 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი